საქართველო

ქარელის მუნიციპალიტეტი

ქ. ქარელის და დაბა აგარის გარეგანათებს ტექნიკური მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანების საფუძველზე.

2011 წელი

ქ. ქარელის

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.
1.2 ტენდერის გამოცხადებისთანავე დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი დღის განმავლობაში პრედენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს სატენდერო წინადადება.
1.3 იმისათვის რომ პრედენდენტმა წარმოადგინოს სატენდერო წინადადება აუცილებელია:
ა) სისტემაში დარეგისტრირდეს მიმწოდებლის სტატუსით.
ბ) გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოს მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებს სისტემის მეშვეობით). გ) წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.
დ) გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი (მიმღები) არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას 1%-ს. რომლის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 30 კალენდარული დღითწინადადების მიღების დაწყების დღიდან.
1.5 „ხელშეკრულება დადებულია", ,,დასრულებულია უარყოფითი შედეგით" და ,,ტენდერი არ შედგა" ეტაპების შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრედენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:
ა) პრედენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე.
ბ) პრედენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად.
გ) პრედენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან ხარვეზით წარმოდგენის გამო.
1.6 ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.
1.7 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით, რომლის დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე., რომლის დროსაც ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას.
1.8 მხოლოდ ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელების შემდეგ აქვს მიმწოდებელს უფლება სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება.
1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.
1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრედენდენტს აქვს შესაძლებლობა მიუთითოს თავისი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. ფასი არ უნადა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე ერთი ბიჯით ნაკლები.
1.12 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა.
1.13 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრედენდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში.
1.14 ელექტრონული ვაჭრობა იყოფა ძირითად დროდ და 3 დამატებით რაუნდად. ძირითად დროში პრედენდენტს უფლება აქვს ცვალოს ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
1.15 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრედენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარმოადგინეს წინადადება დადგენილი წესით.
1.17 დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს მასში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი.
1.18 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი.

1.19 პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.20 რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.21. დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით, რომლის შემდეგაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.22. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი,

სისტემა ავტომატურად უპირატესობას ანიჭებს იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.23 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრედენდენტის დისკვალიფიკაციას. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.24 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.25 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არის შემსყიდვილი ორგანიზაციის მოთხოვნით პრედენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დადასტურების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები.

1.26 პრედენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „ტენდერი გამოცხადებულია“ ეტაპის დაწყების შემდეგ.

1.27 პრედენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისის ვალდებულია მოახდინოს ამ პრედენდენტის დისკვალიფიკაცია. რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.28 თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

1.29 ტენდერის შეწყვეტა სატენდერო კომისიის მიერ შესაძლებელია ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს.

1.30 ტენდერის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ გამარჯვებულ პრედენდენტთან, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა შემსყიდველი ორგანიზაცია დებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.31 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ

ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.32 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის

მიერ.

1.33 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.34 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ბ) ცნობას, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოდან ნასამართლეობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი – XXXIX სამოხელეო დანაშაული;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

1.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, სასამართლოდან.
გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან).

შენიშვნა (1): პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები (დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები) უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

(2): არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოსთავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

(3) პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

დოკუმენტაცია, რომლის სისიტემაში ატვირთვაც პრეტენდენტის მიერ უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტასუსის მინიჭების შემდეგ.

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი #2–ის მიხედვით,

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური მიწოდების გამოცდილება რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები.

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

3. ტექნიკური პირობები

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქალაქი ქარელი და დ. აგარის ტერიტორიაზე 1000 გარე განათების წერტილის (ქარელში – 724 წერტილი, დ. აგარაში – 276 წერტილი) შემდეგი მომსახურების გაწევა:

- სადენების შეერთების შემოწმება ყოველდღიურად;
- სანათების დამჭერების შემოწმება რეგულარულად;
- შემჩნეული დაზიანებების აღმოფხვრა;
- დაზიანებული კაბელების შეცვლა;
- საჰაერო ხაზების შემოწმება ყოველდღიურად და აღმოჩენილი დაზიანებების აღმოფხვრა;
- ლითონის საყრდენებისა და კრონშტეინების შეღებვა;
- საყრდენების გამანაწილებელ ყუთებში კაბელების შეერთებების დათვალიერება და გაწმენდა;
- დღისა და ღამის საათებში ქსელის შემოწმება (ჩამოვლები);
- და სხვა სახის სამუშაოები, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების ქსელის გამართულ მუშაობას
- ელ. ენერგიის ძაბვის ვარდნის, მატების ან/და ავარიული გამორთვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაზიანებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართოს ენერგო დისტრიბუციის კომპანიას.

2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურების გაწევა გარე განათების ქსელზე დამატებულ წერტილებზე

შენიშვნა:

1. პრეტენდენტმა უნდა მოახდინოს სათანადო გაანგარიშება გასაწევი მომსახურებისა და ტექნიკურ პირობებში მოცემული წერტილების რაოდენობის შესაბამისად, და წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა
2. გარე განათების ქსელის მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2011 წლის 31დეკემბრის ჩათვლით

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
- ხარჯთაღრიცხვა;
- მომსახურების გაწევის გრაფიკს;
- რეკვიზიტებს (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები და სხვ.);
2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული
წესი არ განიხილება.
4. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით. (ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე).
5 წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის (იხ.დანართი №1) პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, წინადადების მიღების დაწყების მომენტიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.
6. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით).
7. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების წარდგენის დღიდან არა ნაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას აღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტი წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენდენტი იქნება დისკვალიფიცირებული შესყიდვის პროცედურიდან).
8. წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
9. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდეცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ქარელის გარე განათების ქსელის მოვლა_შენახვის მომსახურეობა

№	ქუჩების დასახელება	ლამპიონების რაოდენობა	ქსელის მომსახურეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ცაბაძის ქუჩა	35	ყოველდღე	
2	ცაბაძის ჩიხი	19	ყოველდღე	
3	მატროსოვის ქუჩა	4	ყოველდღე	
4	რუხაძის ქუჩა	7	ყოველდღე	
5	სააკაძის ქუჩა	12	ყოველდღე	
6	ამირეჯიბის ქუჩა	17	ყოველდღე	
7	რუსთაველის ქუჩა	21	ყოველდღე	
8	შიო მღვიმელის ქუჩა	11	ყოველდღე	
9	აღმაშენებლის ქუჩა	23	ყოველდღე	
10	სტალინის ქუჩა	47	ყოველდღე	
11	ჭავჭავაძის ქუჩა	18	ყოველდღე	
12	ყაზბეგის ქუჩა	26	ყოველდღე	
13	ლენინგრადის ქუჩა	11	ყოველდღე	
14	ლენინგარდის ჩიხი	4	ყოველდღე	
15	მროველის ქუჩა	5	ყოველდღე	
16	ბუხაიძის ქუჩა	14	ყოველდღე	
17	ფანასკერტელის ქუჩა	20	ყოველდღე	
18	ხალგაზრდობის ქუჩა	19	ყოველდღე	
19	მარჯანიშვილის ქუჩა	23	ყოველდღე	
20	ნონეშვილის ქუჩა	4	ყოველდღე	
21	იშხნელის ქუჩა	2	ყოველდღე	
22	ვაჯა ფშაველას ქუჩა	32	ყოველდღე	
23	ნინოშვილის ქუჩა	22	ყოველდღე	
24	ბახტრიონის ქუჩა	15	ყოველდღე	
25	26 მაისის ქუჩა	7	ყოველდღე	
26	9 აპრილის ქუჩა	9	ყოველდღე	
27	იერუსალიმის ქუჩა	4	ყოველდღე	

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

28	ვარძელაშვილის ქუჩა	37	ყოველდღე	
29	გაბაშვილის ქუჩა	5	ყოველდღე	
30	ოძელაშვილის ქუჩა	5	ყოველდღე	
31	ეცხოველის ქუჩა	11	ყოველდღე	
32	ლესელიძის ქუჩა	9	ყოველდღე	
33	წერეთლის ქუჩა	9	ყოველდღე	
34	ავთანდილაშვილის ქუჩა	6	ყოველდღე	
35	თბილისის ქუჩა	25	ყოველდღე	
36	ბარათაშვილის ქუჩა	3	ყოველდღე	
37	აღმაშენებლის ქუჩა	87	ყოველდღე	
38	შუსხელი'შვილის ქუჩა	7	ყოველდღე	
39	შტალიხის ჩიხი	5	ყოველდღე	
40	იროსმახის ჩიხი	23	ყოველდღე	
41	გოგებაშვილის ქუჩა	12	ყოველდღე	
42	სოფ. ბებხისი	49	ყოველდღე	

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დ. აგარის გარე განათების ქსელის მოვლა- შენახვის მომსახურეობა

№	ქუჩების დასახელება	ლამპიონების რაოდენობა ცალი	ქსელის მომსახურეობა	შენიშვნა
1	სტალინის ქუჩა	22	ყოველდღე	
2	მესხის ქუჩა	20	ყოველდღე	
3	რუსთაველის ქუჩა	32	ყოველდღე	
4	ნინოწმინდის ქუჩა	39	ყოველდღე	
5	ტაბიძის ქუჩა	14	ყოველდღე	
6	ხორავას ქუჩა	12	ყოველდღე	
7	ჩოლოყაშვილის ქუჩა	14	ყოველდღე	
8	კოსტავას ქუჩა	6	ყოველდღე	
9	თაბუკაშვილის ქუჩა	3	ყოველდღე	
10	სოფ. ქვენატკოცა	27	ყოველდღე	
11	სკვერი	77	ყოველდღე	
12	მინი სტადიონი	4	ყოველდღე	

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ _____20 __წ.

ერთის მხრივ _____(შემდგომში “შემსყიდველი”)
(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____(შემდგომში “მიმწოდებელი”)
(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე, _____
_____
(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ

თანხაზე: _____(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).
(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;
გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
დ) ტექნიკური პირობები;
ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა *(თუ ეს მექანიზმი გამოიყენება).*
თ) ნახაზები და სპეციფიკაციები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____
(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი _____
(მომწოდებლის სახელი, გვარი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ ქარელში ნინოშვილის ქუჩა №3. საკონტაქტო პირები ემიკო ფეიქრიშვილი 899502725, ირმა ბაბერციანი 851135603

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დანართი № 1

აფიდავიტი

სატენდეროწინადადებისდამოუკიდებლადგანსაზღვრისთაობაზე
გამოცხადებულტენდერშიმონაწილეობისმიღებისმიზნით, ვადასტურებ,
რომჩემსმიერწარმოდგენილისატენდეროწინადადებაშემუშავებულიაკონკურენტისგანდამოუკიდებლ
ა დ. ასევევადასტურებ, რომ:

* ჩემთვისცნობილია, რომსატენდეროწინადადებადისკვალიფიცირებულიქნება, თუაღმოჩნდა,
რომაფიდავიტშიმოცემულიინფორმაციაარისყალბიან/დაცრუ;

* უფლებამოსილივარპრეტენენტისმიერ,
ხელიმოვაწეროამაფიდავიტსდაწარვადგინოესსატენდეროწინადადება;

* ნებისმიერპირი, რომლისხელმოწერაცდაფიქსირებულიასატენდეროწინადადებაზე,
შესაბამისადუფლებამოსილიაპრეტენდენტისმიერ;

* ჩემთვისცნობილიარომტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტისმიზნებიდანგამომდინარე,
გულისხმობსნებისმიერპირს,
რომელიცშესაძლებელიაიყოსპრეტენდენტიან/დაწარადგინოსსატენდეროწინადადებაამტენდერში
;

*მატერიალურიგამორჩენისანუპირატესობისმიღებისმიზნითპრეტენდენტსადაკონკურენტსშორისარწა
რმოებუ ლაკონსულტაცია, კომუნიკაცია,
შეთანხმებაანმოლაპარაკებაშემდეგსაკითხებთანდაკავშირებით:
სატენდეროწინადადებისფასი;
სატენდეროწინადადებისფასისგამოთვლისმეთოდი, კოეფიციენტიანფორმულა;
სატენდეროწინადადებისწარდგენაანწარდგენისგანთავისშეკავება;
ისეთისატენდეროწინადადებისგანზრახწარდგენა,
რომელიცარაკმაყოფილებსგამოცხადებულიტენდერისპირობებს;
შესყიდვისობიექტისხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობებიანმიწოდებისდეტალები,
რომელთაცეხებასატენდეროწინადადება;

* სატენდეროწინადადებისპირობებიპრეტენდენტსწინასწარიგანზრახვით, პირდაპირანარაპირდაპირ,
არგაუმჟღავნებიაან/დაარგაუმჟღავნებსკონკურენტსსატენდეროწინადადებისგანსაჯაროებისმომენტამ
დე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაცი ისუტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფოშესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების
დამოუკიდებლად განსაზღვრისთაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი,
პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების
უტყუარობას დასაქართველოს კანონმდ ებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული
ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა
იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
195ı მუხლისშესაბამისად.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დანართი 3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(გარანტია)

ვის:

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი
_____
_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართ)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional